Research

უცხოელი სტუდენტებისა და უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დინამიკა საქართველოში

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #133 28.02.2022

ბოლო წლებში მსოფლიოში საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა. იუნესკოს მონაცემების მიხედვით, 2015 -2019 წლებში საერთაშორისო სტუდენტების რიცხვი 4.8 მილიონიდან 6.1 მილიონამდე გაიზარდა[1]. სხვადასხვა კვლევა[2] აჩვენებს, რომ საერთაშორისო სტუდენტები, პირდაპირ და ირიბად, ხელს უწყობენ მიმღები ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას სწავლის გადასახადის, საცხოვრებელი ხარჯების, ტრანსპორტირების, მოგზაურობის ხარჯების გადახდით და ა.შ.; აღნიშნულ გამოცემაში განხილულია საქართველოში უცხოელი სტუდენტების დინამიკა და მათი ფინანსური კონტრიბუცია ქვეყნის განათლების სექტორში.



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

ბოლო წლებში საქართველოში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. 2013-2014 აკადემიური წლიდან 2021-2022 აკადემიური წლის ჩათვლით მათი რაოდენობა 3,525-დან 17,139-მდე გაიზარდა, საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა კი 22% შეადგინა.

გაანალიზებულ პერიოდში, ასევე, შესამჩნევად გაიზარდა უცხოელი სტუდენტების წილი საქართველოში ჩარიცხული სტუდენტების საერთო რაოდენობაში - 2.9%-დან 10.3 %-მდე.

საქართველოში უცხოელი სტუდენტების სწავლის დინამიკის სხვა ქვეყნებთან შედარებისას ჩანს, რომ საქართველოს უცხოელი სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი გაზრდილია[3]. აღნიშნული მაჩვენებელი იუნესკოს მიერ არის შექმნილი და აღწერს ქვეყანაში უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების საერთო რაოდენობის რა წილს შეადგენენ უცხოელები. 2015-2019 წლებში საქართველოში უცხოელი სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი 3.7-დან 8.1 ქულამდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლის მიხედვით, 2019 წელს საქართველომ 94 ქვეყანას შორის 32-ე ადგილი დაიკავა, მაშინ როცა 2015 წელს 55-ე ადგილზე იყო.

უცხოელი სტუდენტების დინამიკის ეროვნების მიხედვით ანალიზი აჩვენებს, რომ 2013-2014 სასწავლო წლიდან 2016-2017 სასწავლო წლებში საქართველოში უცხოელ სტუდენტებს შორის ყველაზე მეტი აზერბაიჯანელი იყო. საშუალო მაჩვენებელმა აღნიშნულ პერიოდში 31% შეადგინა. თუმცა, აზერბაიჯანელი სტუდენტების წილი 2017-2018 წლებიდან 2021-2022 წლების ჩათვლით საგრძნობლად შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში წლიური ზრდის ტემპმა -24% შეადგინა.

პარალელურად, 2017-2018 წლებიდან 2021-2022 წლების ჩათვლით, საგრძნობლად გაიზარდა ინდოელი სტუდენტების რაოდენობა. უფრო ზუსტად კი, ამ პერიოდში ინდოელის სტუდენტების წილი 22 პროცენტული პუნქტით (პპ-ით) გაიზარდა და 53 % შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ გაანალიზებულ პერიოდში გაიზარდა სტუდენტების რაოდენობა ჩრდილოეთ ამერიკიდან, დიდ ბრიტანეთიდან და ევროკავშირის ქვეყნებიდან. 2013-2014 აკადემიური წლიდან 2021-2022 აკადემიური წლისთვის აღნიშნული ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტების რაოდენობა 37 დან 435-მდე გაიზარდა და უცხოელი სტუდენტების 3% შეადგინა.



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

იმისთვის, რომ უკეთ დავინახოთ უცხოელი სტუდენტების დინამიკა საქართველოში, მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ მათი გადანაწილება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. იმ სტუდენტების წილი, რომლებიც სწავლობენ სამედიცინო, ჯანდაცვის, ფარმაცევტიკისა და სტომატოლოგიის პროგრამებზე, 2013-2014 აკადემიური წლიდან 2021-2022 აკადემიური წლისთვის საგრძნობლად, 34 პპ-ით გაიზარდა და 87%-ს მიაღწია. აღნიშნული კატეგორიის წილი ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით შესამჩნევად კი 2017-2018 სასწავლო წლიდან 2018-2019 სასწავლო წლისთვის გაიზარდა (17 პპ-ით).

პარალელურად, სტუდენტების წილი, რომლებიც სწავლობენ ბიზნესის, მართვისა და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2013-2014 სასწავლო წლიდან 2016-2017 სასწავლო წლისთვის გაიზარდა. თუმცა, 2017-2018 სასწავლო წლიდან აღნიშნული კატეგორიის სტუდენტების წილმა დაიწყო შემცირება და 2021-2022 სასწავლო წლის მდგომარეობით 5% შეადგინა. აღნიშნული კატეგორიის შემცირება ყველაზე შესამჩნევი 2018-2019 სასწავლო წელს იყო (11 პპ-ით). გარდა ამისა, შემცირდა სტუდენტების წილი, რომლებიც სწავლობდნენ სოციალურ, ბიჰევიორისტულ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე და ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამებზე. აღნიშნულ კატეგორიაში 2013-2014 სასწავლო წლიდან 2021-2022 სასწავლო წლისთვის მაჩვენებელი 12%-დან 3%-მდე დაეცა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების გაზრდილი წილი ინდოელი სტუდენტების ზრდით არის განპირობებული, რადგან მათი უმეტესობა სწორედ ამ სასწავლო პროგრამებზე სწავლობს.

1. UNESCO Institutes for Statistics - http://data.uis.unesco.org/
2. https://www.oecd.org/sti/inno/2093396.pdf
3. http://uis.unesco.org/en/glossary-term/inbound-mobility-rate

უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, გაიზარდა საქართველოს უნივერსიტეტებში უცხოენოვანი სასწავლო პროგრამების რაოდენობაც. 2013-2014 აკადემიური წლიდან 2021-2022 აკადემიური წლისთვის უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა 61-დან 191-მდე გაიზარდა. მათგან უმრავლესობა ინგლისურენოვანია (165), 23 რუსულენოვანი, 2 ფრანგულენოვანი, ხოლო 1 გერმანულენოვანი.



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ზრდა შესამჩნევია ყველა აკადემიურ საფეხურზე. 2013-2014 სასწავლო წლიდან 2021-2022 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო პროგრამების რაოდენობა 34-დან 95-მდე, სამაგისტრო პროგრამები 13-დან 46-მდე, ხოლო სადოქტორო პროგრამები 6-დან 17-მდე გაიზარდა. ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამაზე ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა დაფიქსირდა, პროგრამების რაოდენობა გაოთხმაგდა და 8-დან 33 -მდე გაიზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გაანალიზებულ პერიოდში 11-დან 33-მდე გაიზარდა უნივერსიტეტების რაოდენობა, რომლებიც უცხოენოვან პროგრამებს სთავაზობენ სტუდენტებს.

2021-2022 სასწავლო წელს იმ უცხოენოვან პროგრამებზე, რომლებზეც უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, 27% - მედიცინასთან დაკავშირებულ პროგრამებზე მოდის; ბიზნესზე, მართვასა და სამართალზე - 26%; სოციალურ, ბიჰევიორისტულ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე და ხელოვნებაზე - 17%; ინჟინერია, არქიტექტურა, მშენებლობაზე - 12%; კომპიუტერულ საქმეზე - 9%; სხვა პროგრამებზე - 9%. აღნიშნულ პროგრამებზე უცხოელი სტუდენტები შემდეგნაირად არიან გადანაწილებული: - 89% მედიცინასთან დაკავშირებულ პროგრამებზე სწავლობს; ბიზნესზე, მართვასა და სამართალზე - 5%; სოციალურ, ბიჰევიორისტულ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე და ხელოვნებაზე- 2%; არქიტექტურაზე, მშენებლობაზე - 2%, კომპიუტერულ საქმეზე - 1%; სხვა მიმართულებებზე - 1%. ამრიგად სტუდენტების განაწილება მიმართულებებზე არათანაბარია.



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გაგამოთვლები

2013-2014 სასწავლო წლიდან 2021-2022 სასწავლო წლისთვის საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზეც სწავლობენ უცხოელი სტუდენტები, საშუალო გადასახადი თითქმის გაორმაგდა და 4,300 ლარიდან 8,300 ლარამდე გაიზარდა. საშუალო გადასახადის წლიური ზრდის მაჩვენებლებმა 9% შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლის გადასახადის გაიზარდა ლარში, დოლარში გადასახადი არ გაზრდილა. მეტიც, აღნიშნული პერიოდში გადასახადი 2,605 დოლარიდან 2,485 დოლარამდე შემცირდა. ამრიგად, ლარში გაზრდილი სწავლის გადასახადი მეტწილად განპირობებული იყო ლარის გაუფასურებით.

2021-2022 სასწავლო წელს ყველაზე მაღალი საშუალო სწავლის საფასური სამედიცინო, ჯანდაცვის, ფარმაცევტიკის და სტომატოლოგიის პროგრამებზეა (11,521 ლარი), რასაც მოჰყვება კომპიუტერული საქმე (8,960 ლარი). ყველაზე დაბალი სწავლის საფასური სოციალური, ბიჰევიორისტული, ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე და ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამებზეა (4,660 ლარი).

უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის მთლიანი ოდენობა და მისი წილი განათლების სექტორის მშპ-ში 2013-2014 სასწავლო წლიდან სტაბილურად იზრდება.

2013-2014 სასწავლო წლიდან 2021-2022 სასწავლო წლისთვის უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის ჯამური ოდენობა 14 მილიონი ლარიდან 180 მილიონ ლარამდე გაიზარდა, საშუალო წლიური ზრდის ტემპმა კი 39% შეადგინა. სწავლის საფასურის მთლიანი ოდენობის ზრდა არ ყოფილა ისეთი შესამჩნევი დოლარში, როგორიც ლარში. გაანალიზებულ პერიოდში გადახდილი სწავლის საფასურის ჯამური ოდენობა დოლარში 8 მილიონი აშშ დოლარიდან 56 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 29% შეადგინა.

სწავლის გადახდილი თანხის მოცულობის ზრდასთან ერთად, მისი წილიც განათლების სექტორის მშპ-შიც სტაბილურად იზრდებოდა. 2013-2014 სასწავლო წლიდან 2021-2022 სასწავლო წლისთვის წილი 1.1%-დან 8.6%-მდე გაიზარდა. მთლიანი შიდა პროდუქტის მხრივ, გაანალიზებულ პერიოდში წილი 0,05%-დან 0,36%-მდე გაიზარდა.



წყარო: საქსტატი, ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

საერთო ჯამში, ბოლო დროს უცხოელი სტუდენტების ინტერესი საქართველოში სწავლის მიმართ სწრაფად იზრდება. ამ გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, ქართულმა უნივერსიტეტებმა დაიწყეს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა. უცხოელი სტუდენტების მზარდ რაოდენობასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა მათი ფინანსური წვლილი ქართულ უმაღლეს განათლებაშიც. თუმცა, გაზრდილი ინტერესი უფრო ჰომოგენური ხდება და სტუდენტების დიდი უმრავლესობა ირჩევს სამედიცინო პროგრამებს, ამავდროულად, ინდოელი სტუდენტების წილი საგრძნობლად გაიზარდა და ნახევარს გადააჭარბა. სამედიცინო სფეროსა და ინდოელ სტუდენტებზე გაჩენილმა დამოკიდებულებამ შესაძლოა, გარკვეული გამოწვევები შექმნას მომავალში. ამის გათვალისწინებით, საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო სისტემამ მეტი ძალისხმევა უნდა მიმართოს სხვადასხვა ქვეყნიდან სტუდენტების მოსაზიდად, ასევე, მედიცინის გარდა სხვა აკადემიურ სფეროებზეც უნდა გაზარდოს უცხოელი სტუდენტების ინტერესი.

*2021 წლის ლარი დოლარის კურსი გამოთვლილია, როგორც 2021 წლის სამი კვარტლის საშუალო.
** 2021 წლის განათლების სექტორის მშპ გამოთვლილია, როგორც სამი კვარტლის ჯამს დამატებული სამი კვარტლის საშუალო.

Basic Economic Indicators	2019	2020	2021 I კვ.	2021 II კვ.	2021 III კვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 470.7	15 888.1*	3 402.3*	4 663.4*	5 126.6*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2	4 274.6*	912.5*	1 282.7*	1 375.0*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	5.0%	-6.2%*	-4.5%*	28.9*	9.1*
ინფლაცია	4.9%	5.2%	4.5%	8.3%	12.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 335.8	572.0	132.2*	297,7.0*	299.0*
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	21.9%	22.1%	18.5%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 741	7 535	7 721	8 017	7 729
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	20.1%	19.7%	-	-	-

*წინასწარი